



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ყოჩები“ - ქუთაისის „აია“		
გუნდი	თბ „ყოჩები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	30/09/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაბადების თარიღი	2/6/1986
სახელი, გვარი	ლაშა მალალურაძე		
მომჩივანი	მატჩის კიდის მსაჯი გელა ლემონჯავა	საჩივარი	✓ აღიარებულია უარყოფილია
დარღვევა	<p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1 :</p> <p>9.27 მოთამაშე არ უნდა მოიქცეს არასპორტულად</p> <p>9.28 მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ</p> <p>9.28 მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები</p> <p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #6:</p> <p>მატჩის ოფიციალური პირები.</p> <p>1. პუნქტ 3 : მატჩის ოფიციალურ პირთა და მათი ზედამხედველის(მწვრთნელის) გარდა არავის არ აქვს უფლება მიმართოს მატჩის ოფიციალურ პირს თამაშისას, შესვენებისას და მატჩის შემდეგ, შევიდეს მათ გასახდელ ოთახში რაიმე თამაშთან დაკავშირებული საკითხის განსახილველად თუ</p>	<p style="text-align: center;">✓</p> <p>წითელი ბარათი საითინგი სხვა</p> <p>თუ „სხვა“ აღწერეთ :</p>	



	თავად მატჩის ოფიციალური პირი არ დართავს ამის ნებას.	
--	---	--

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	03/10/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე.		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები : კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „ყოჩები“-ს მენეჯერი - მიხეილ კალანდაძე	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები			

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის კიდის მსაჯის გელა ლემონჯავას საითინგი
2. მატჩის კიდის მსაჯის გელა ლემონჯავას სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
3. მატჩის მე-4 მსაჯის მარიამ გოგუაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
4. მატჩის მსაჯის ნიკა ამაშუკელის ყვითელი ბარათის ოქმი

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

თბ „ყოჩები“-ს მოთამაშემ, ლაშა მალალურაძემ, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე თავდაპირველად უარყო საითინგში აღნიშნული ფაქტი მისი მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, თუმცა მოგვიანებით დაადასტურა მის მიერ მსაჯის მიმართ ნათქვამი რეპლიკა „წადი შენი ...“. ლაშა მალალურაძემ თავისი საქციელი განმარტა მსაჯის მხრიდან ცინიკურმა დამოკიდებულებამ მისი, როგორც გუნდის კაპიტანის მიმართ. მისი თქმით თამაშის განმავლობაში მსაჯი (ნიკა ამაშუკელი) არ ეკონტაქტებოდა, უგულველყოფდა მის მიმართვებს და ცინიკურად პასუხობდა შეკითხვებს. ლაშა მალალურაძემ დაადასტურა თამაშის შემდგომ მსაჯების ოთახთან მისვლა მათი მხრიდან ოქმში ჩაწერილი საჩივარის ახსნა-განმარტებების მოსმენის მიზნით.



ფაქტობრივი მოცემულობა

1. 30/09/2022 გაიმართა დიდი 10-ს IV ტურის მატჩი თბ „ყოჩები“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის. თამაში მიმდინარეობდა დაძაბულად, მსაჯს თამაშის 31-ე წუთისთვის 4 ყვითელი ბარათი ჰქონდა გამოყენებული.
2. მატჩის მსაჯის ნიკა ამაშუკელის ყვითელი ბარათის ოქმში აღნიშნულია (ციტირება) : **ყოჩების 10 ნომერი და კაპიტანი ლაშა მალალურაძე თამაშის დაწყებიდანვე იქცეოდა ცინიკურად , ყოველგვარი სარაგბო სულის და ღირებულებების საწინააღმდეგოდ. მისგან იყო გაპროტესტება, ხელების შლა და კამათი. 31 წუთზე როდესაც მივეცი გაფრთხილება მისი პასუხი იყო დამცინავი და კონტექსტიდან ამოვარდნილი , შესაბამისად მივეცი ყვითელი ბარათი. აღსანიშნავია რომ ამ ინდივიდს ზოგადად აქვს ქცევისა და დისციპლინის პრობლემა უკვე მეორე სეზონია, რაც ასევე იწვევს მისი თანაგუნდელების აყოლიებას.**
3. მატჩის კიდის მსაჯი, გელა ლემონჯავა, საითინგიში და სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერში აღნიშნავს (ციტირება) : **_____თამაშის პირველ ნახევარში, ყოჩების მოთამაშემ ლაშა მალალურაძემ, მიიღო ყვითელი ბარათი და მოედნიდან გამოსვლის დროს სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა ნიკა ამაშუკელს (დედა შეაგინა). მატჩის დასრულების შემდეგ ყოჩების რამოდენიმე მორაგბე (ლევან გოგოლაშვილი, ლაშა მალალურაძე, სხვები ზუსტად არ მახსოვს რადგან შიგნით ვიყავთ გასახდელში მსაჯები და თავს ვარიდებდით სიტუაციას) პროვოკაციული ტექსტებით და საკმაოდ აგრესიული ტონით მოგვმართავდნენ. (აბა გამოდით გარეთ, სუსტებს განსაცდელი ელით).**
4. მატჩის მეთვალყურის ირაკლი დოლიძის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - მატჩის მეთვალყურე ირაკლი დოლიძე ვერ ადასტურებს თბ „ყოჩები“-ს მოთამაშის ლაშა მალალურაძის მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს და იგი არ შესწრებია მატჩის დამთავრების შემდეგ მსაჯების ოთახთან მომხდარ ინციდენტს.
5. მატჩის მე-4 მსაჯის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - მატჩის მე-4 მსაჯი მარიამ გოგუაძე ვერ ადასტურებს თბ „ყოჩები“-ს მოთამაშის ლაშა მალალურაძის მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს.
6. სადისციპლინო კომისიის სხდომაზე თბ „ყოჩები“-ს მოთამაშის ლაშა მალალურაძის განცხადების მიხედვით - ლაშა მალალურაძემ დაადასტურა მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი, რეპლიკით „წადი შენი ...“ და თამაშის შემდგომ მსაჯების ოთახთან მისვლა მათი მხრიდან ოქმში ჩაწერილი საჩივარის ახსნა-განმარტებერბის მოსმენის მიზნით.



სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა:

1. მატჩის ოფიციალური პირ(ებ)ის საჩივრ(ებ)ის (მათ შორის ზეპირი და სატელეფონო გამოკითხვების) და მოთამაშის (ლაშა მალალურაძის) სადისციპლინო კომისიის სხდომაზე გამოკითხვის შეწავლის შემდგომ კომისია დადგენილად მიიჩნევს რომ დარღვეულ იქნა საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო რეგულაცია.
2. მსაჯის როგორც, მატჩის დროს თამაშის წესების მთლიანობის დაცვის ერთადერთი განმსჯელის გადაწყვეტილება ხელშეუხებელია. მსაჯის გადაწყვეტილებები და მათი გავლენა თამაშის შედეგზე საბოლოო და სავალდებულოა მატჩის მონაწილე მხარეებისათვის.
3. სადისციპლინო კომისია განმარტავს რომ მოთამაშის (ლაშა მალალურაძის) მხრიდან უხეშად იქნა დარღვეული სადისციპლინო რეგულაცია, იგი აპროტესტებდა მსაჯის გადაწყვეტილებას, ეკამათებოდა მსაჯს და მსაჯის მიერ გაცემული ყვითელი ბარათის გაცემის შემდგომ (პირველი ტაიმის 31-ე წუთი) სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. ასევე მოთამაშე (ლაშა მალალურაძე) მატჩის დასრულების შემდგომ მივიდა მსაჯების გასახდელში იმ მიზნით რომ გაერკვია თუ რა საჩივარს წერდნენ მსაჯები რაც ეწინააღმდეგება რაგბის ფასეულობებს და წარმოადგენს სადისციპლინო დარღვევას.
4. სადისციპლინო კომისია ასევე განმარტავს რომ მოთამაშე (ლაშა მალალურაძეს) სადისციპლინო კომისიის სხდომაზე არ გამოუთქვამს წუხილი მომხდარი ინციდენტის შესახებ.
5. მოთამაშე (ლაშა მალალურაძე) 30/09/2022 წლის თბ „ყოჩები“-სა და ქუთაისის „აია“-ს მატჩის დროს იყო თბ „ყოჩები“-ს კაპიტანი, გუნდის კაპიტანს კი მოეთხოვება სამაგალითოდ დაიცვას დისციპლინა და გუნდის წევრებს მოუწოდოს დისციპლინისკენ, ხოლო მოთამაშე (ლაშა მალალურაძე) თავად უხეშად არღვევდა დისციპლინას, რამაც გამოიწვია მისი გუნდელების აგრესია მსაჯის მიმართ.
6. სადისციპლინო კომისიამ მხედველობაში მიიღო დამრღვევი მოთამაშის (ლაშა მალალურაძის) სუფთა სადისციპლინო ისტორია, გამოყენებული შეურაცხმყოფელი სიტყვების უცენზურობის და სენსიტიურობის ხარისხი, მის მიერ დისციპლინარული დარღვევის ფაქტის აღიარება და დარღვევის ხარისხის შეფასებისას, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.28 პუნქტით (მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები) განსაზღვრული სანქციებიდან, დარღვევა შეაფასა როგორც ქვედა ზღვრის შესაბამისი ხარისხის დარღვევად.



გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით			
ზედა ზღვარი *	კვირა.	შუა ზღვარი	კვირა
		ქვედა ზღვარი 6(ექვსი)	კვირა ✓

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	6 (ექვსი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	05/10/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	05/12/2022 (სრკ-ს მოქმედი განრიგის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	05/10/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.